

# NATO-ს ჩართულობა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში

*ავტორები: ლუკა პანაიოტი, თამარ იობიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო  
პერსპექტივები”  
23-24 დეკემბერი, 2020*

## აბსტრაქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უკვე 2 ათწლეულზე მეტია რაც სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას დიდ საფრთხეს აყენებს. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გამუდმებით მიდიოდა დაპირისპირებები და გამუდმებით ხდებოდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებების დარღვევა. განსაკუთრებით გააქტიურდა საბრძოლო მოქმედებები 2020 წლის სექტემბერში, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ორივე მხარის მიერ საომარი ღონისძიებები. აზერბაიჯანმა შეძლო მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება, თუმცა სიტუაცია რუსეთისა და თურქეთის ჩარევამ გაანეიტრალა და დაიღო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, დარჩენილ სადავო ტერიტორიაზე რუსი მშვიდობისმყოფელები განთავსდებიან 5 წლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კონფლიქტში საკმაოდ აქტიურად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, მისი სტრატეგიული მოკავშირე თურქეთი, რომელიც გახლავთ NATO-ს წევრი სახელმწიფო. ვრცელდებოდა ინფორმაცია თურქეთის პირდაპირი ჩართულობის შესახებაც. მიუხედავად ამისა, NATO-მ მიიღო გადაწყვეტილება არ ჩარეულიყო აღნიშნულ კონფლიქტში.

NATO საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული საკუთარ საზღვრებთან ახლოს კონფლიქტების მოგვარებაში. პირველი ასეთი ოპერაცია ნატომ ჩაატარა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, შემდეგ ამას მოჰყვა სამშვიდობო ოპერაციები კოსოვოში. გარდა ამისა NATO საკმაოდ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში და აწარმოებდა სამშვიდობო ოპერაციებს ავღანეთში და ერაყში. თუმცა, ამ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი NATO-ს საზღვრებთან საკმაოდ ახლოს მიმდინარეობდა და ერთ-ერთი მისი წევრი საკმაოდ აქტიურად უჭერდა მხარს კონფლიქტის ერთ მხარეს, NATO-მ უარი განაცხადა ჩარევაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გადაწყვეტით გამოვიკვლიოთ აღნიშნული გადაწყვეტილება და შესაბამისად ჩვენი საკვლევი კითხვა ფორმირდება შემდეგნაირად: რატომ გადაწყვიტა NATO-მ არ ჩარეულიყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში? ჩვენი ჰიპოთეზა ფორმირდება შემდეგნაირად - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ჩაურევლობა დიდად განაპირობა რუსეთის პოზიციამ აღნიშნული კონფლიქტის მიმართ. აქედან გამომდინარე ჩვენ გამოვყავით შემდეგი ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადი - რუსეთის პოლიტიკა მთიანის ყარაბაღის კონფლიქტში. დამოკიდებული ცვლადი - NATO-ს ჩაურევლობა აღნიშნულ კონფლიქტში. ასევე უნდა გამოვყოთ შუალედური ცვლადი - NATO-ს წევრი ქვეყნების პოზიცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში.

აღნიშნული თემა გამოირჩევა საკმაოდ დიდი აქტუალობით, რადგანაც დღემდე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტირება ბოლომდე მოუგვარებელი და ჯერ კიდევ ბუნდოვანია თუ როგორ გადაწყდება მისი საკითხი და როგორ გავლენას მოახდენს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სურათზე.

## ისტორიული კონტექსტი

ბევრი მიიჩნევს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის საფუძვლები მე-20 საუკუნის ბოლოდან უნდა ვეძებოთ, თუმცა კონფლიქტს გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნიდან სომხეთის სახელმწიფოებრიობა ქრება, სამხ. კავკასიის მოსახლეობაში სომეხთა წილი იკლებს და უსაფრთხო ადგილის მოსაძებნად ბევრი სომეხი საზღვარგარეთ მიდის, რაც მდიდარი სომხური დიასპორის გაჩენას უწყობს ხელს. ერთადერთი ადგილი, სადაც მოძალეებულ მუსლიმურ ელემენტებში სომეხებს თვითმყოფადობის შენარჩუნება შეეძლოთ მთიანი ყარაბაღი გახლდათ. ვითარება რეგიონში მრავალჯერ შეიცვალა. ყარაბაღი ხელიდან ხელში გადადიოდა და სხვადასხვა სახელმწიფოს, ოლქისა თუ გუბერნიის შემადგენლობაში ექცეოდა. საბოლოოდ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით ყარაბაღი აზერბაიჯანს მიეკუთვნა. შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. ავტონომიას ძირითადად სომეხები მართავდნენ, თუმცა ეკონომიკურად და ინფრასტრუქტურულად ოლქი აზერბაიჯანზე იყო მიბმული. (კობახიძე, 2020)

რაც უფრო სუსტდებოდა საბჭოთა კავშირი, მით უფრო მეტად სუსტდებოდა მათი გავლენა სამხ. კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. შედეგად, 1988წ-ს სომხური უმრავლესობისგან შემდგარმა ყარაბაღის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო სომხეთთან შეერთების გადაწყვეტილება, რასაც აზერბაიჯანი არ შეურიგდა. დაიწყო კონფლიქტი. საბოლოოდ, რუსეთის თაოსნობით დაიწყო მოლაპარაკებები და ცეცხლი 1994 წელს შეწყდა. სომხეთი ფორმალურად დღემდე არ აღიარებს მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას, მაგრამ მის კონტროლს ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა ორ სახელმწიფოს შორის დამაბული იყო, რეგიონში საერთაშორისო საზოგადოებას სამშვიდობო ძალები ან დამკვირვებლები არ განუთავსებია. (Schreck and Johnson, 2014).

90-იან წლებში ნატო-ს ჩართულობა ყარაბაღის კონფლიქტში არ ფიქსირდება. თუმცა, მოგვიანებით ის აფიქსირებს ნეიტრალურ პოზიციას და მიიჩნევს, რომ მხარეებმა კონსენსუსს უნდა მიაღწიონ მშვიდობიანი მოლაპარაკებების შედეგად. 2006 წლის ნოემბრის რიგის სამიტის დეკლარაციაში ნატო სწორედ სამხ. კავკასიასა და მოლდოვაში არსებული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოუწოდებს მხარეებს. დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ნატოს წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიულ ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას. ნატო-ს რიტორიკით კმაყოფილი არ დარჩენილა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმირ კარაპეტიანი, რომელმაც განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს არ ეკუთვნოდა, შესაბამისად ტექნიკურად არ ირღვეოდა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა. (Malek, 2008).

## **ნატოსა და სომხეთის ურთიერთობები**

ვინაიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხ. კავკასიის რეგიონში სომხეთი ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული რუსეთზე სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით, და ვინაიდან ის ნატო-ს საპირწონედ შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის(კუხო) წევრია, სომხური პოლიტიკური

ელიტა რუსეთთან თანამშრომლობას უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე ნატო-სთან ურთიერთობას. გარდა ამისა, ნატო-სადმი უნდობლობის განცდას იწვევდა ორგანიზაციაში თურქეთის წევრობაც. მიუხედავად ამ ფაქტორებისა, ნატო-სა და სომხეთს შორის მაინც დაიწყო თანამშრომლობა და კოოპერაცია. (Malek, 2008).

ნატო-სთან ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, როდესაც სომხეთი ჩრდილო ატლანტიკური კოოპერაციის საბჭოს შეუერთდა, ხოლო 1997 წელს ეს ფორმატი შეიცვალა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი, რომელიც მიზნად ისახავს ევროატლანტიკურ სივრცეში ნატო-ს წევრებისა და მოკავშირეების დაახლოებას. 1994 წელს სომხეთი პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამას შეუერთდა. სომხური ჯარები მონაწილეობდნენ ნატოს კოსოვოს ძალებში 2004 წელს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების პროგრამაში ავღანეთში და მრავალ სხვა პროგრამაში, რომლებიც ნატოსა და სომხეთის ორმხრივ ურთიერთობებს კიდევ უფრო აუმჯობესებს.

რაც შეეხება ყარაბაღის სიტუაციას, ნატო არაა ჩართული ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებში, თუმცა ის მხარს უჭერს ეუთოს ფარგლებში ჩამოყალიბებულ მინსკის ჯგუფს და მოუწოდებს მხარეებს, რათა მოლაპარაკებების საშუალებით მშვიდობიანი გადაწყვეტილება მიიღონ კონფლიქტის მოსაგვარებლად (NATO's official website, updated in 2020).

### **ნატო-სა და აზერბაიჯანის ურთიერთობები**

სომხეთის მსგავსად, ნატო-სა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა 1992 წლიდან დაიწყო. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, აზერბაიჯანში ხშირად გაისმოდა მოსაზრება ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებისა, რასაც 2007 წლის 23 მაისის „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ მთელი თავი მიემძვნა და სტრატეგიულ მიზნადაც კი დაისახა. აზერბაიჯანის სწრაფვას ევროპული სტრუქტურებისკენ ხელი შეუწყო ნატო-ში თურქეთის წევრობამაც, რომელთანაც აზერბაიჯანს რელიგიური ფაქტორი და დიდი წარსული აკავშირებს, შესაბამისად, თურქეთი აზერბაიჯანის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლიდან მოყოლებული აზერბაიჯანმა ნატო-ს ბევრ პროექტსა და პროგრამაში მიიღო მონაწილეობა, ის ორგანიზაციის წევრი მაინც არ არის, რაც რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, ეს აიხსნება რეგიონში ისეთი ძლიერი მოთამაშის არსებობით, როგორც რუსეთია. აზერბაიჯანი ხედავს, თუ რა რეაქციას იმსახურებს საქართველოს ნატოსაკენ სწრაფვა რუსეთის მხრიდან, შესაბამისად ცდილობს, რომ რუსეთთან კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნოს და მისი რისხვა არ დაიმსახუროს. გარდა ამისა, პრო-დასავლური ორიენტაციისა და პოლიტიკის გამო აზერბაიჯანს ურთიერთობა ეძაბება მეზობელ ირანთანაც, რომელსაც არ მოსწონს აზერბაიჯანის კურსი (კობახიძე, 2020).

ყარაბაღის სიტუაციასთან დაკავშირებით ნატო იგივე რეკომენდაციას აძლევს აზერბაიჯანს, როგორც სომხეთს. ის მათ მოუწოდებს მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომისკენ და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ (NATO's official webpage, updated in 2020).

### **კონფლიქტის ახალ ფაზაში გადასვლა და ნატოს პოზიცია**

1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა. 2018 წელს მოხდა „ხავერდოვანი რევოლუცია“ და სომხეთის პრემიერ-მინისტრად ნიკოლ ფაშინიანი დაინიშნა, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ილჰამ ალიევთან შეთანხმდა, რომ საჭირო იყო დამაბულობის დეესკალაცია. სიტუაცია 2019 წლის აგვისტოში დაიძაბა. ფაშინიანმა ყარაბაღში განაცხადა, რომ არწახი სომხეთი იყო. ამ განცხადებამ აზერბაიჯანელები და მათი ლიდერი, პრეზიდენტი ალიევი უკმაყოფილო დატოვა და უარყოფითი სენტიმენტების განახლებას შეუწყო ხელი (BBC, 2020).

დამაბულობამ მხარეთა დაპირისპირება გამოიწვია და ბრძოლა 2020 წლის 27 სექტემბერს გაჩაღდა. სომხეთის თანახმად პირველად აზერბაიჯანმა გაისროლა და მან დაიწყო ომი, ხოლო აზერბაიჯანი აცხადებს, რომ მან კონტრშეტევა სომხური აგრესიისგან დასაცავად დაიწყო.

კონფლიქტის მიმდინარეობისას ორივე მხარე აქტიურად მიმართავდა ნატო-ს. 21 ოქტომბერს სომხეთის პრეზიდენტი, არმენ სარქისიანი ბრიუსელსაც კი ესტუმრა, სადაც იან სტოლტენბერგმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა მას დიდი მადლობა გადაუხადა 25 წლიანი თანამშრომლობისთვის და ნატოს მისიებსა და ოპერაციებში ჩართულობისთვის. რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტს, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ნატო არ არის კონფლიქტში ჩართული, თუმცა წუხს რეგიონში არსებული დაძაბულობის გამო, რამაც სამოქალაქო პირთასიცოცხლე შეიწირა. მდივანმა აღნიშნა, რომ ნატოსთვის და საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ბრძოლის დასრულება და მშვიდობიანი გადაწყვეტილების პოვნა. მან ორივე მხარეს მოუწოდა თავშეკავებისკენ, ცეცხლის შეწყვეტისკენ და სიტუაციის დეესკალაციისკენ. სტოლტენბერგი მხარს უჭერს მინსკის ჯგუფის მუშაობას, რომელიც ეუთოს ფარგლებში ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას (Stoltenberg, 2020).

კონფლიქტის შედეგები და მასშტაბი კარგადაა გათვინობიერებულია ნატოს მიერ. სწორედ ამიტომ მოუწოდებს ის მხარეებს ბრძოლის შეწყვეტისკენ და პოლიტიკური გამოსვლის პოვნისკენ. გარდა ამისა, ნატო მიიჩნევს, რომ თურქეთმა, როგორც ორგანიზაციის ღირებულმა წევრმა უნდა გამოიყენოს მისი გავლენა რეგიონში სიტუაციის გასანიტრალებლად.

ბრძოლა ნოემბერში დასრულდა სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის ფორმულირებაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. ამ შეთანხმების თანახმად, აზერბაიჯანი ინარჩუნებს იმ ტერიტორიას, რომელიც კონფლიქტის დროს დაიკავა, ხოლო სომხეთმა ჯარი უნდა გამოიყვანოს მიმდებარე ტერიტორიებიდან. გარდა ამისა, პუტინის განცხადებით ტერიტორიაზე იპატრულირებს რუსი მშვიდობისმყოფელები, რომლებიც გააკონტროლებენ რეგიონში მიმდინარე სიტუაციას. აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანახმად, მშვიდობის შენარჩუნების პროცესში მონაწილეობს მიიღებს თურქეთიც (Washington Post, 2020).

საერთაშორისო არენაზე ამ შედეგს აფასებენ, როგორც სომხეთის მარცხსა და აზერბაიჯანის ტრიუმფს. ამ მოსაზრებას აზერბაიჯანის პრეზიდენტიც ეთანხმება ამ სულისკვეთებას და მიიჩნევს, რომ ახალი შეთანხმება ისტორიული მნიშვნელობისაა და

რომ სომხეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა კაპიტულაციას უდრიდა. რაც შეეხება სარქისიანს, მან განაცხადა, რომ „არ არსებობს მარცხი მანამ, სანამ თავს არ მიიჩნევ დამარცხებულად.“ სომხეთის მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მოსახლეობა აღაშფოთა. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ხელშეკრულებით სარქისიანმა სამშობლოს უღალატა (BBC, 2020).

### არაერთგვაროვანი პოზიციები ნატოს შიგნით

ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის უპირველესი და ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი მისი სტრატეგიული პარტნიორი თურქეთია. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ აზერბაიჯანულ არმიას წრთვნიდა, იარაღით ამარაგებდა და მხარს უჭერდა თურქეთის სამხედრო უწყება. პრეზიდენტი ერდოღანი, ასევე ოფიციალურ განცხადებებშიც ღიად ემხრობოდა აზერბაიჯანს და ომში ჩართვისთვის სრულ მზადყოფნას აცხადებდა თუკი ამას აზერბაიჯანი ისურვებდა (ალიევმა მადლობა გადაუხადა თურქეთს აქტიური მხარდაჭერისთვის, თუმცა განაცხადა, რომ ამის საჭიროება არ იყო). თურქეთის აღნიშნული პოზიციით შეშფოთებას გამოთქვამდა საფრანგეთი. პრეზიდენტ მაკრონმა განაცხადა, რომ საკმაოდ აღშფოთებული იყო „ომისმაგვარი შეტყობინებებით“, რომელსაც თურქეთი გზავნიდა და რომელიც კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევდა აზერბაიჯანს დაებრუნებინდა მთიანი ყარაბაღის ტერიტორია. საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ არ შეეგუებოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. ერდოღანმა კი მას ბრალი დასდო სომხების მხადაჭერაში (Reuters, 2020). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ოფიციალური პოზიცია ყარაბაღის ომში მიმართული იყო თურქეთის აქტიურ ჩართულობაზე და არ იყო განცხადებები გაკეთებული კონფლიქტის რომელიმე მონაწილის მხარდასაჭერად.

გარდა თურქეთისა, ალიანსის წევრმა სხვა ქვეყნებმაც აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადეს აზერბაიჯანს. ერთ-ერთი პირველი იყო იტალია, რომლის ვიცე-სპიკერმა როზატომ, ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერს აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს და მის პოზიციას ყარაბაღის ომში. ის ასევე ესტუმრა ყარაბაღის საზღვრისპირა რეგიონებს და სომხების მიერ განადგურებულ

ქალაქებს აზერბაიჯანში. აღნიშნული პოზიცია უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო მზარდი ეკონომიკური ურთიერთობებით ორ ქვეყანას შორის. (Azernews, 2020) იტალიასთან ერთად, სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს უნგრეთმაც. უნგრეთის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ განაცხადა, რომ ის სრულიად მხარს უჭერს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. თავისთავად ცხადია, ორივე ქვეყანა მოუწოდებს მხარეებს ცეცხლის შეწყვეტაში და მშვიდობიანი გამოსავლის ძიებაში (Hungarytoday, 2020).

აღიანსში ასევე გამოიკვეთა ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ სომხეთის პოზიციას ომში. ერთ-ერთი პირველი ასეთი სახელმწიფო იყო საბერძნეთი, რომელმაც კიდევ ერთხელ ოფიციალურად გაუსვა ხაზი ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ძლიერ მეგობრულ კავშირზე და გამოთქვა მზაობა მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის მშვიდობიან გზით დეესკალაციაში. საბერძნეთსა და სომხეთს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები აკავშირებთ და საბერძნეთი განსაკუთრებით გმობს თურქეთის ქმედებებს და ჩართულობას აღნიშნულ ომში (Greekreporter, 2020).

თუმცა, უმრავლესობა ქვეყნებისა თავს იკავებენ კონფლიქტში ერთი მხარისთვის მხარდაჭერის გამოცხადებისკენ და მოუწოდებენ მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ და მშვიდობიანი გამოსავლის ძიებისკენ. საკმაოდ მნიშვნელოვანი კი აღმოჩნდა აშშ-ს ოფიციალური პოზიცია. ტრამპის ადმინისტრაცია არ აკეთებდა რაიმე სახის ოფიციალურ განცხადებებს კონფლიქტის თაობაზე. მხოლოდ სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ, განაცხადა ინტერვიუში, რომ მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას თავი აარიდონ ამ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის მცდელობებს. გარე აქტორები არ უნდა ერეოდნენ აღნიშნულ კონფლიქტში და აუცილებელია ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების გაფორმება, რისთვისაც ორივე ქვეყნის ლდიერთან გამართეს სატელეფონო საუბრები. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ, არის მინსკის ჯგუფის (მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისთვის შექმნილი კომისია) წევრი საფრანგეთთან და რუსეთთან ერთად. მისი ასეთი პასიური პოზიცია საშუალებას აძლევს რუსეთს გააქტიურდეს რეგიონში და საკუთარი გავლენა გაზარდოს სამხრეთ



კავკასიაზე. (Theguardian, 2020) მსგავს ნეიტრალურ პოზიციებზე რჩებიან ალიანსის სხვა წევრებიც, როგორებიცაა გერმანია, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი.

## რუსეთის როლი

როგორც ცნობილია, რუსეთს აქვს სამხედრო ბაზა სომხეთში და ორივე სახელმწიფო არის წევრი მოსკოვის ინიცირებული კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებისა. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი გაუწევს სომხეთს სამხედრო დახმარებას, იმ შემთხვევაში თუ სომხეთზე განხორციელდა თავდასხმა, თუმცა ეს ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მთიანი ყარაბაღის ოლქს ან იმ მიმდებარე აზერბაიჯანულ ტერიტორიებს, რომლებიც დაკავებულია სომხეთის მიერ. ამავე დროს, რუსეთს საკამოდ აკრგი ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანთან. ომის მიმდინარეობისას რუსეთი ახორციელებდა იარაღის მიყიდვას ორივე მხარისთვის. (BBC, 2020)

გასული 2 ათწლეულის განმავლობაში, კრემლი ხვდებოდა, რომ ნავთობრესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი, რომლის თავდაცვითი ბიუჯეტი სულ მცირე სამჯერ აღემატებოდა სომხეთისას, არ დატოვებდა უპასუხოდ ყარაბაღის საკითხს, რასაც ძალთა ბალანსის აზერბაიჯანის სასარგებლოდ ცვლილება მოჰყვებოდა. მოსკოვი თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა სომხეთი, რომ მიეღო მინსკის ჯგუფის მიერ მიღებული დიპლომატიური გამოსავალი კონფლიქტის მოსაგვარებლად, თუმცა სომხეთი უარს აცხადებდა. სომხეთის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კი, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ნიკოლ ფაშინიანი 2018 წელს, ერევანის ოფიციალური პოზიცია ყარაბაღის მიმართ უფრო გამკაცრდა. სწორედ ამიტომ, რუსეთმა თავიდანვე ცალსახად განუცხადა სომხეთს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ვრცელდებოდა მხოლოდ სომხეთის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე და არ მოიცავდა მთიან ყარაბაღს. როდესაც ომი გაჩაღდა, სომხეთი აღმოჩნდა მარტო აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

როდესაც აზერბაიჯანელებმა აიღეს შუშა, ყარაბაღის სიდიდით მეორე ქალაქი, რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევა საგრძნობლად გაძიერდა. დიპლომატიისა და პოლიტიკური ზეწოლის გამოყენებით, მოსკოვმა შეძლო და უზრუნველყო სამშვიდობო

ხელშეკრულება, რომელიც გარდაქმნის კრემლისთვის არასახარბიელო კონფლიქტს, ისეთ სიტუაციად, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს რუსეთის ბერკეტებს. გარიგებამ ხელი შეუშალა მთიანი ყარაბაღის საბოლოო დამარცხებას და მისი სომეხი მოსახლეობის სავარაუდოდ გაძევებას. რუსეთი 2000 სამშვიდობოს გაგზავნის დანარჩენი სომხური მოსახლეობის დასაცავად, ორი მოწინააღმდეგის გამოსაყოფად და დერეფანის პატრულირებისთვის, რომელიც სომხეთს მთიან ყარაბაღთან დააკავშირებს: ის რაც კრემლს სურდა 1994 წლიდან, მაგრამ ვერ შეძლო მოლაპარაკების მაგიდასთან ამის მიღწევა სანამ აღნიშნული ომი არ მოხდა. მოსკოვმა ასევე შეძლო ანკარის გამოთიშვა ამ კონფლიქტიდან. რუსეთი იქნება ერთადერთი ხელმძღვანელი ქვეყანა სამშვიდობო ხელშეკრულებისა, გარდა კონფლიქტში მოანწილე ორი სხვა ქვეყნის გარდა და მხოლოდ მისი ამშვიდობოები გაუწევენ სიტუაციის მონიტორინგს, თუმცა თურქეთის განცხადებით, ისინიც აპირებენ სამშვიდობოების გაგზავნას. ასევე, რუსეთის სასაზღვრო და საბაჟო სამსახურები გააკონტროლებენ ახლადშექმნილ მარშრუტს, რომელიც დააკავშირებს აზერბაიჯანს ნახიჩევანის ოლქთან. მოსკოვმა აჩვენა, რომ იგი კვლავ შეუცვლელი ძალაა რეგიონში და შეძლო შეენარჩუნებინა კავშირები აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ამავე დროს წარმატებით გაუწია კონკურენცია თურქეთსაც. (BBC, 2020)

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყარაბაღის კონფლიქტი არა მარტო რეგიონული, არამედ უფრო ფართო საერთაშორისო მნიშვნელოვან კონფლიქტია. ორივე მხარეს ჰყავს საკუთარი მხარდამჭერები და რეგიონის მიმართ ასევე გარე აქტორების დიდი ინტერესებიც იკვეთება. კონფლიქტი საკმაოდ ახლოსაა ნატოს საზღვებთან და განსაკუთრებული ინტერესის საკითხს წარმოადგენს მისი ერთ-ერთი წევრი, თურქეთისთვის. თუმცა, ალიანსის ქვეყნები სხვადასხვა პოზიციაზე დგანან აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით. თუ ზოგიერთმა წევრმა ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა აზერბაიჯანსა თუ სომხეთს, ზოგიერთი წევრი და მათ შორის მნიშვნელოვანი წევრი აშშ, დარჩა ნეიტრალური კონფლიქტის მიამართ და არ გამოიჩინა აქტიური პოზიციით. ზოგიერთი წევრი კი,

განსაკუთრებით საფრანგეთი დაუპირისპირდა თურქეთის აქტიურ პოზიციას ამ კონფლიქტის მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ ალიანსში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მღება წარმოებს კონსესუსის გზით, ცალსახად ცხადია, რომ ყარაბაღის კონფლიქტზე ნატოს ვერ ექნებოდა ერთიანი პოზიცია და მეტიც, იყო საშიშროება ალიანსს წევრ ქვეყნებს შორის მწვავე დაპირისპირებისა ამ საკითხთან მიმართებით. ნატოს წევრი ქვეყნების პოზიციების ასეთმა გადანაწილებამ, საშუალება მისცა რუსეთს უფრო აქტიურად ჩართულიყო კონფლიქტში და თავის სასარგებლოდ გარდაექმნა ვითარება. თავისთავად ცხადია, ალიანსი რჩება ერთგული ევროპასა და მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობის მიზნისა, თუმცა ყარაბაღის ომი წარმოადგენდა რთული გეოპოლიტიკური პროცესების შედეგს, სადაც ალიანმა ვერ შეძლო აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა და ცხადყო, რომ წევრებს შორის არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებზეც აუცილებელი არის ინტენსიური დიალოგი, ერთიანი საერთაშორისო პოზიციის მისაღწევად.

## ბიბლიოგრაფია:

1. კობახიძე, ბექა, (2020). „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი“. გამოქვეყნებულია „პუბლიკაში“. <https://publika.ge/article/yarabaghis-konflikti-warsuli-awmyo-momavali/>. ბოლო ნახვა 13.12.2020
2. Malek, M. (2008). *NATO and the South Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia on Different Tracks. Connections*, 7(3), 30-51. <http://www.jstor.org/stable/26323347> . ბოლო ნახვა, 13.12.2020
3. Schreck, Carl and Johnson, Luke. (2014). *Explainer: The Nagorno-Karabakh Conflict*. Published on Eurasianet. <https://eurasianet.org/explainer-the-nagorno-karabakh-conflict>. ბოლო ნახვა 13.12.2020
4. Official website of NATO. (2020). *Relations with Armenia*. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_48893.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_48893.htm). ბოლო ნახვა 12.12.2020
5. Official website of NATO. (2020). *Online Press Conference by Jens Stoltenberg*. [https://www.nato.int/cps/fr/natohq/opinions\\_178946.htm?selectedLocale=fr](https://www.nato.int/cps/fr/natohq/opinions_178946.htm?selectedLocale=fr). ბოლო ნახვა 12.12.2020
6. BBC, (2020). *Armenia-Azerbaijan: Why did Nagorno-Karabakh spark a conflict?* <https://www.bbc.com/news/world-europe-54324772>. ბოლო ნახვა 12.12.2020
7. Dixon, Robyn. (2020). *In Nagorno-Karabakh peace deal, Russia's Putin claims a strategic win. But risks are attached*. Published by The Washington Post. [https://www.washingtonpost.com/world/europe/nagorno-karabakh-russia-peacekeepers/2020/11/19/397d55d8-25c7-11eb-9c4a-0dc6242c4814\\_story.html](https://www.washingtonpost.com/world/europe/nagorno-karabakh-russia-peacekeepers/2020/11/19/397d55d8-25c7-11eb-9c4a-0dc6242c4814_story.html) . ბოლო ნახვა 13.12.2020
8. Safi M. , Borger J (2020) *US silence on Armenia-Azerbaijan conflict reflects international disengagement*, The Guardian, <https://www.theguardian.com/world/2020/oct/04/us-armenia-azerbaijan-nagorno-karabakh>. ბოლო ნახვა 13.12.2020
9. Nvard Hovhannisyan, Nailia Bagirova, (2020), *France and Turkey at odds as Karabakh fighting divides NATO allies*, Reuters, <https://www.reuters.com/article/us-armenia-azerbaijan-idUSKBN26L106>. ბოლო ნახვა 12.12.2020

10. Mammadov Akbar, (2020), *Baku thanks Rome for its principled position on Nagorno-Karabakh conflict*, Azernews, <https://www.azernews.az/nation/168812.html>, ბოლო ნახვა 12.12.2020
11. Kzsas Fani, (2020), *Hungarian government stands by Azerbaijan in Nagorno-Karabakh conflict*, Hungarytoday, <https://hungarytoday.hu/hungary-nagorno-karabakh-conflict-eu-summit-azerbaijan/>. ბოლო ნახვა 12.12.2020
12. Kokkindis Tasos, (2020), *Greece Offers Timid Support for Armenia in the Nagorno-Karabakh Conflict*, Greek Reporter, <https://greece.greekreporter.com/2020/09/28/greece-offers-timid-support-for-armenia-in-the-nagorno-karabakh-conflict/>, ბოლო ნახვა 13.12.2020.
13. Gabuev Alexander, (2020) *Viewpoint: Russia and Turkey - unlikely victors of Karabakh conflict*, BBC <https://www.bbc.com/news/world-europe-54903869>, ბოლო ნახვა 13.12.2020.
14. BBC, (2020), *Armenia, Azerbaijan and Russia sign Nagorno-Karabakh peace deal*, <https://www.bbc.com/news/world-europe-54882564#:~:text=Armenia%2C%20Azerbaijan%20and%20Russia%20have.between%20Azerbaijan%20and%20ethnic%20Armenians>. ბოლო ნახვა 12.12.2020